ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი #7

ქ. ონი 13. 07. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გივი მეტრეველი.

სხდომას კომისიის 11 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნონა მაისურაძე, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: ზურაბ ბენდიანიშვილი, გელა მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სასმელი წყლის მიწოდების (დებეტი, ხარისხი) არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სასმელი წყლის მიწოდების (დებეტი, ხარისხი) არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სასმელი წყლის მიწოდების (დებეტი, ხარისხი) არსებული მდგომარეობის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სასმელი წყლის მიწოდების (დებეტი, ხარისხი) კუთხით მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და ამ პრობლემების მოგვარების გზებზე.

ალ. კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ ქ. ონის წყალმომარაგების გაუმჯობესების კუთხით შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ დაგეგმილი

ღონისძიებების, კერძოდ, პროექტით გათვალისწინებული გამწმენდ ნაგებობაზე დამატებითი რეზერვუარის მშენებლობის ნაცვლად, მოხდეს ქვედრულის წყალსადენის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია, რაც დიდი ალბათობით უზრუნველყოფს სასმელი წყლის უვნებლობის ხარისხის სტაბილურობას.

ბ. მაისურაძემ ისაუბრა სოფლებში წედისსა და სხანარში წყალმომარაგების კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე და განაცხადა, რომ აღნიშნულ სოფლებში წლების განმავლობაში არ მომხდარა ამორტიზირებული, მოძველებული მაგისტრალის მილდენის შეცვლა ახლით, რაც განაპირობებს ავარიულ მდგომარეობაში მყოფი მილდენიდან წყლის დანაკარგს და შესაბამისად, წყალი შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება მომხმარებელს და მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. საჭიროა საკითხს მერიის მხრიდან მეტი ყურადღება მიექცეს.

რ. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ სოფ. ღების მოსახლეობას ამ ეტაპზე სასმელი წყალი შეუზღუდავად მიეწოდება. სასმელი წყლის დებეტი და ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ასევე, დაწყებულია სამუშაოები ახალი დამატებითი რეზერვუარის მოსაწყობად.

ე. მაისურაძემ განაცხადა, რომ აუცილებელია, მოხდეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ქ. ონში წყალმომარაგების გაუმჯობესების კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების პროექტის საჯარო განხილვა შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობა-მონაწილეობით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 13 ივლისს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხი:

1.ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სასმელი წყლის მიწოდების (დებეტი, ხარისხი) არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

2010 წლიდან დღემდე სოლიდური თანხები იქნა გახარჯული ონის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების სასმელი წყლის მუდმივ რეჟიმში მიწოდების უზრუნველსაყოფად, მაგრამ სუბიექტური მიზეზების არაჯეროვნად შესრულებული პროექტების გამო სასურველი შედეგები მიღწეული არ არის.

მართალია, ბოლო ორ წელიწადში გატარებული ღონისძიებების შედეგად შედარებით გამოსწორდა მდგომარეობა, მაგრამ პრობლემები კიდევ ბევრია ხარისხთან და დებეტთან მიმართებაში. დამაიმედებელია ის ფაქტი, რომ ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესების კუთხით, შპს ,,გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ მიმდინარე წელს დაგეგმილი აქვს 14 000 000 ლარის ღირებულების პროექტის განხორციელება, რაც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში ქალაქისათვის სასმელად ვარგისი წყლის შეუზღუდავ მიწოდებას და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედება ქალაქის წყალმომარაგების სტაბილურობაზე.

სოლებში-ღები, კვაშხიეთი, ქრისტესი, შეუბანი, ზემო ბარი, გლოლა რეგ. ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება წყალსადენების სისტემების რეაბილიტაცია. ასევე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის

ფარგლებში 24 სოფელში იგეგმება ანალოგიური სამუშაოები, რაც წყალმომარაგების კუთხით არსებული პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფს.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე